

# განჭვრეტა

ისლამური ფსიქო-სასულიერო კვლევა

## CONTEMPLATION

AN ISLAMIC PSYCHOSPIRITUAL STUDY

MALIK BADRI



*With an Introduction by*

JEREMY HENZELL-THOMAS

იასი-ს წიგნების სერია

ბანჯვრეტა (თაშაქჷურ)  
ისლამური უსიქო-სასულიერო  
კვლევა

მალიე ბადრი

შემოკლებულია ვანდა კრაუსის მიერ



International Institute  
of Islamic Thought



გამომცემლობა „პანიონი“  
თბილისი 2021

ბანჰვრეშა

ოსლამური ფსიქო-სასულიერო კვლევა (Georgian)

მალიქ ბადრი

შემოკლებული ნიგნების სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),

კოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი.

14433/2021

Paperback ISBN: 978-9941-33-080-3

**Contemplation: An Islamic Psychospiritual Study (Georgian)**

*Malik Badri*

*IIIT Books-in-Brief Series*

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)

1440AH/ 2018CE

Paperback ISBN 978-1-56564-980-4

IIIT

P.O. Box 669,

Herndon, VA, 20172, USA

[www.iiit.org](http://www.iiit.org)

ინგლისურიდან თარგმნა როლანდ შავაძემ

თარგმანის თეოლოგიური რედაქტორები: ტარიელ ნაკაიძე, თამაზ მგელაძე

ფილოლოგიური რედაქტორი: ია ძირკვაძე

კოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი ც.დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარ-

ვასლა A-317

[ikiacademy.org](http://ikiacademy.org)

მომზადებულია გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან თანამშრომლობით

სავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბამისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე.

წინამდებარე ნაშრომში გამოხატული ხედვები და აზრები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2021

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: [universal505@gmail.com](mailto:universal505@gmail.com); [gamomcemlobauniversal@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversal@gmail.com)

## ასი-ს წიგნების სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული მნიშვნელოვანი და ძირითადი პუბლიკაციების ამსახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც ორიგინალის, სრული ტექსტის, მკითხველი საზოგადოებისთვის მარტივად აღქმის მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ნაშრომი, დროის დაზოგვის თვალსაზრისით, წარმოდგენილია გამარტივებული სახით – დაწერილია მოკლედ და მარტივად, ფართო მასებისთვის გასაგები ენით. თანმდევი რეზიუმეები გვთავაზობს დიდი პუბლიკაციების ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას, რაც იმის იმედს გვიტოვებს, რომ ჩვენი ნაშრომი მკითხველს ორიგინალის გაცნობის ინტერესს ალუძრავს.

### ნაშრომში განჭვრეტა\*. ისლამური ფსიქო-სასულიე-

\* არაბ. *თაფაქქურ*-ს ქართულად ზუსტი შესატყვისი არ აქვს. შეიძლება ითარგმნოს, როგორც განჭვრეტა, გაცნობიერება, შემეცნება, ფიქრი (აღსანიშნავია, რომ ეს ქართული სიტყვაც უკავშირდება არაბულ ძირს *ფქრ*, რომლიდანაც მოდის *თაფაქქურ*), სიღრმისეული ფიქრი. კონტექსტის მიხედვით, თარგმანში სხვადასხვა ტერმინებია გამოყენებული, მაგრამ უპირატესობა მაინც მინიჭებული აქვს განჭვრეტას. ინგლისურადაც *თაფაქქურ* თარგმნილია, როგორც *contemplation*, რასაც ქართულში სწორედ *განჭვრეტა* შეესატყვისება (ქართულში ასევეა დამკვიდრებული კონტემპლაცია, თუმცა იშვიათად გამოიყენება).

**რო კვლევა** მალიქ ბადრი განჭვრეტას ისლამური, თანამედროვე და სულიერი პერსპექტივიდან, ასევე ფსიქოლოგიის სფეროს მიხედვით განიხილავს. დასავლური ფსიქოლოგია ათწლეულების მანძილზე ვითარდებოდა და შექმნა ადამიანის მდგომარეობის ანალიზის საშუალება, განსაკუთრებით ბავშვობისდროინდელი გამოცდილების უფრო გვიანდელ ცხოვრებაზე ზეგავლენასთან დაკავშირებით. თუმცა, ადამიანის ფსიქიკის შესახებ ეს ცოდნა დიდწილად ისტორიული და კულტურული გარემოს პროდუქტია. ეს არის სეკულარული, ჰუმანისტური ხედვა, რომელიც ამჯობინებს გონება უფრო მეტად განიხილოს, როგორც მანქანა, რომლის 'გაგებაც' შესაძლებელია და კომპიუტერში ხელოვნური ინტელექტის ალგორითმებით მისი ანალოგის შექმნაც არაა გამორიცხული. რეალურად, ადამიანის გონება უფრო მეტია, ვიდრე მისი 'ნაწილების ჯამი', თუმცა იგი არ არის აუცილებლად რაღაც მისტერიული, არამედ უფრო დაკავშირებულია ადამიანის გულთან და 'სულთან', რომლის დიდი პოტენციალი და შესრულებული სამუშაო ადამიანის სხეულში ბევრად უფრო ღრმა შესწავლას მოითხოვს.

გონების მანქანის მსგავს რაოდენობრივ შეფასებას დაქვემდებარებული გაგება აღქმულია უსაფრთხო გარემოდ, მაშინ როცა მონაცემებმა, რომლებიც არ ექვემდებარება რაოდენობრივ შეფასებას, შეიძლება დააფრთხოს ზოგიერთი, ვისთვისაც ფსიქოლოგიის სფეროში სამეცნიერო მეთოდის გამოყენება მისაღებია. დასავლური ფსიქოლოგიის ტრადიციაში ყოველთვის არსებობდა მაღალი მოლოდინი, რომ დროთა განმავლობაში ადამიანის

ბუნების საიდუმლოება ამოიხსნებოდა. თუმცა, გონების შესწავლისთვის ზოგიერთი დიდი მეცნიერის მიერ გაწეული ძალისხმევის მიუხედავად, არაერთი კითხვა დარჩა პასუხგაუცემელი. მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაზრდილი ფსიქოლოგიური დარღვევების ფონზე, როგორცაა დეპრესია, ნერვიულობა, შიში, სუიციდი, მეტი რომ არ დასახელდეს, კიდევ უფრო უარეს ნაწინასწარმეტყველებ ტენდენციებთან ერთად, აშკარად ჩანს, რომ ადამიანის ბუნების გაგებისათვის ჯერ კიდევ უამრავი რამ სასწრაფოა შესასწავლი. მათ შემთხვევაში კი, ვისაც ფსიქოლოგიური დარღვევები აქვს, უფრო ეფექტური დახმარების ფორმები და თერაპიული მეთოდები უნდა შემუშავდეს სწელთა განსაკუთრნავად. ტრადიციულ დასავლურ ფსიქოლოგიაში გონების მანქანისებური გაგება უარყოფს ადამიანის ბუნების „სულიერ“ განზომილებას, თუმცა ზოგიერთი დასავლელი ფსიქოლოგი თანდათანობით აცნობიერებს, რომ მუსლიმებსა და სხვა მორწმუნეებს ყოველთვის სჯეროდათ ადამიანის ცხოვრებაში 'სულის' დიდი მნიშვნელობისა. ეს წარმოადგენს კვლევის მეტად მასტიმულირებელი სფეროს სანყის ნერტილს, რომელსაც შეუძლია ბევრს იმედი შესძინოს – არა მხოლოდ მათ, ვისაც ფსიქოლოგიური დარღვევები სტანჯავს, არამედ ეს დაეხმარება სხვებსაც, რათა უკეთ გაიგონ, თუ რას ნიშნავს იყო ადამიანი, როგორც კეთილდღეობის ჟამს, ისე უმძიმეს ხანებში.

ამ შთამბეჭდავ გამოკვლევაში მალიქ ბადრი კრიტიკულად განიხილავს დასავლური ფსიქოლოგიის მიერ სულიერი განზომილების უგულვებელყოფას. იგი ამტკიც-

ცებს, რომ განჭვრეტის (თაფაქურ) იდეისა და პრაქტიკის სახით, ჩვენ გვაქვს ძლიერი საშუალება, რომელიც გონებას აკავშირებს გულთან და 'სულთან'. განჭვრეტის მეშვეობით, განსაკუთრებით ღმერთზე ფიქრისას, ჩვენ ღრმად ჩაწვდებით ფსიქიკას და გავამრთელებთ ფსიქოლოგიურ აშლილობას, რომელიც ადამიანს აწუხებს და რომელიც შეიძლება ჩაითვალოს 'სულის სნეულებად'. ბადრი გამოკვეთს განჭვრეტის მრავალ ელემენტს, მათ შორის მის ისტორიულ დაღმასვლას, მის აღმოსავლურ ტრადიციებში აღმოცენებას, თანამედროვე ფსიქოლოგიაში ამ ფილოსოფიური ასპექტების ახლახანს დაბრუნებასაც კი. თუმცა, სწორედ ისლამურ ტრადიციაში ხდება განჭვრეტა თაფაქურ-ი. ეს არის ცოდნის მიღების გზა, რომელიც ქმნის ღმერთის, როგორც სათაყვანებლის, აღქმის შინაგან შესაძლებლობებს და ნეგატიურობის დახშობით ფოკუსირებას ახდენს კონცეპტუალურ გაგებაზე, ჩვენს ადგილზე უკიდევანო სამყაროში.

---

შემოკლებული გამოცემა მალიქ ბადრის ნაშრომისა  
განჭვრეტა. ისლამური ფსიქო-სასულიერო კვლევა

ISBN hbk: 978-1-56564-273-2

ISBN pbk: 978-1-56564-267-8

2000

თავი პირველი  
**განჭვრეტა: თანამედროვე  
ფსიქოლოგიური პერსპექტივა**

**ისლამური განჭვრეტა და სეკულარული ფსიქოლოგია**

ისლამში განჭვრეტა, სიღრმისეული ფიქრი, (თაფაქურ), ღვთისმსახურების ერთ-ერთი ყველაზე ამაღლებული ფორმაა. ამდენად, მისი განხილვა თანამედროვე დასავლური ფსიქოლოგიის თვალთახედვიდან, რომელიც არსებითად სეკულარული და დიდნილად კულტურით განპირობებული დისციპლინაა, შეიძლება ერთი შეხედვით უცნაურად გამოჩნდეს. თუმცა, ვინაიდან დასავლური კულტურული პარადიგმები შეჭრილია მუსლიმური სამყაროში აკადემიური კვლევის უმრავლეს სფეროებში, მნიშვნელოვანია განჭვრეტის, თაფაქურ-ის განხილვის დაწყება ამ თვალთახედვიდან.

ამგვარად, განჭვრეტის თვალსაზრისით, დასავლურმა ფსიქოლოგიამ ახლახანს გამოავლინა მედიტაციის პროცედურებისადმი და ასევე ცნობიერების ცვლილების შესაძლებლობებისადმი ინტერესი. ისლამურ განჭვრეტას მედიტაციისგან შეუძლია მიაღწიოს სასურველ სარგებელს, მაგრამ როგორც ქვევით დავინახავთ, ის

განსხვავდება მედიტაციის პროცედურების ყველა სხვა ფორმისაგან, რომლებიც მომდინარეობს აღმოსავლურ რელიგიებიდან. ეს განსხვავება გამომდინარეობს იქედან, რომ ის უფრო კოგნიტიური და ინტელექტუალურია. ისლამისეული განჭვრეტის მიხედვით, ცნობიერების სახეცვლილება არ არის თავისთავად მიზანი, არამედ მისი ამოცანაა ღმერთის, როგორც სამყაროს შემქმნელისა და მარჩენალის შესახებ გააზრებული, სიღრმისეული ცოდნის შექმნა.

სანამ ბიჰევიორიზმი დომინანტი თეორია გახდებოდა, კოგნიტიური ფსიქოლოგიის სფერო, მისი ჯერ კიდევ დაუხვეწელი ფორმით, ფსიქოლოგიის ადრეული სკოლების ინტერესს წარმოადგენდა. იმ ხანებში, ფსიქოლოგია ძირითადად გამოიყენებოდა ადამიანების ცნობიერების, გრძნობების, აზრების შინაარსის, გონების სტრუქტურის შესასწავლად. შესაბამისად, სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებს მხოლოდ ამ პერსპექტივებით განიხილავდა. ბიჰევიორისტულმა სკოლამ სრულიად ახალი მიდგომა დაამკვიდრა, რომლის მიხედვითაც შესწავლის საკითხი შეიძლებოდა გამოკვლეულიყო მხოლოდ სტიმულისა და მასზე თვალსაჩინო პასუხების საფუძველზე. ეს კი გახდა ფსიქოლოგიის საფუძველი. გრძნობები, გონების კომპონენტები და განჭვრეტის პროცესი მიიჩნეოდა ისეთ საკითხებად, რომლებზეც უშუალო დაკვირვება შეუძლებელი იყო. შესაბამისად, მათი შესწავლისათვის გამოყენებული მეთოდები (როგორცაა თვითანალიზი, დაკვირვება და შინაგანი გამოცდილების გადმოცემა) კრიტიკულად ფასდებოდა, როგორც ბუნდოვანი და არასანდო.

მათი კონტროლი კი ექსპერიმენტული პროცედურებით შეუძლებელი იყო.

შესაბამისად, ბიჰევიორისტებმა, რომლებსაც სურდათ, რომ ფსიქოლოგია გამხდარიყო ზუსტი, ექსპერიმენტზე დაფუძნებული მეცნიერება, როგორცაა ფიზიკა და ქიმია, საკუთარი საქმიანობა მხოლოდ იმ ფენომენს დაუკავშირეს, რომელზე დაკვირვებაც ლაბორატორიაში იქნებოდა შესაძლებელი. ხოლო ქცევა, რომლის გაზომვა და კონტროლი შესაძლებელია, ექსპერიმენტისა და სამეცნიერო ინტერესის ობიექტი გახდა. სამედიცინო და ბიოლოგიური მეცნიერებებიდან მაგალითების მოხმობის ძალისხმევას, პიროვნების სულიერი და შინაგანი კოგნიტური აქტივობების იგნორირებით, არაორაზროვნად ჩაუყარა საფუძველი ჯონ უოტსონმა, ბიჰევიორიზმის დამფუძნებელმა მამამ.

ამ ესოდენ შეზღუდული პერსპექტივითა და ივან პავლოვის დასწავლის განპირობების თეორიის გავლენით, ბიჰევიორისტები ადამიანის ნებისმიერ მენტალურ და ფსიქოლოგიურ აქტივობას სტიმულ-რეაქციის ურთიერთკავშირის ხედვიდან გამომდინარე ხსნიდნენ. ადამიანების ამ დეჰუმანიზაციის მთავარი მიზანი იყო ფსიქოლოგიის ჩამოყალიბება სამეცნიერო დარგად. მეორე მთავარი მიზანი გახდა დასავლური საზოგადოებების სეკულარიზაცია და მათი რელიგიის ჩარჩოებისგან გათავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ სხვა დომინანტ პერსპექტივებს და ფსიქოლოგიის სკოლებს, როგორცაა ფსიქოანალიზი და ბიოლოგიური პერსპექტივა, მძაფრი

დაპირისპირება აქვთ ბიჰევიორისტებთან, ისინი სრულ ჰარმონიაში არიან, როდესაც საქმე ეხება სეკულარიზაციასა და გააზრებულ აზროვნებას.

ტრადიციული ნეიროფსიქიატრია, რომელიც მყარად ეფუძნება 'ორგანულ' ბიოლოგიურ პერსპექტივას, ასევე აკნინებს გააზრებული ხედვის, თავისუფალი არჩევანის, ადამიანის უცვლელი სულიერი და მორალური სტანდარტების მნიშვნელობას. ბიოლოგიური დეტერმინიზმი, თავისი გაზვიადებული ფორმით, ამტკიცებს, რომ ყველაფერი, რასაც ადამიანი მოიმოქმედებს, იქნება ეს ნორმალური თუ არანორმალური, მთლიანად განპირობებულია მემკვიდრეობითი გენებით, მათი ნერვული სისტემით და ბიოქიმიით. თუ ფსიქოლოგიის კუთხიდან ისლამური თაფაქურ-ის შესწავლა ეხება ადამიანების გააზრებულ შინაგან კოგნიტიურ ნააზრევსა და გრძობებს, მაშინ დასავლური ფსიქოლოგია (ბიჰევიორიზმი, ფროიდის ფსიქოანალიზი და ნეიროფსიქიატრია) ბევრი არაფრის მომცემია ან უსარგებლოა.

### **განჭვრეტა ისლამში და კოგნიტიური რევოლუცია**

ფსიქოლოგიას უნდა განეცადა სრული რევოლუცია, რათა ინტერესის ცენტრში მოექცია „გონება“ და ხელმეორედ აღმოეჩინა მისი შინაგანი ცნობიერი – კოგნიტიური აქტივობები. ეს რევოლუცია თანამედროვე კოგნიტიური რევოლუციაა. მეოცე საუკუნის დაახლოებით მეორე ნახევრიდან მეცნიერებმა უფრო მეტი ინტერესი

გამომჟღავნეს შინაგანი კოგნიტური პროცესის გააზრებისადმი, თუმცა ფსიქოლოგიას არაერთი ათწლეული დასჭირდა, რათა ელიარებინა ბიჰევიორიზმის სტიმულზე რეაქციის ზედაპირულობა და ფსიქონალიზის თეორიების მეცნიერულად გაუმართავი ბუნება. ფსიქოლოგიაში ახალი პერსპექტივა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი წარმოაჩენს განჭვრეტის ღირებულებას როგორც სამეცნიერო, ისე რელიგიური თვალთახედვიდან.

საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ თუმცა ფსიქოლოგია და სხვა სოციალური მეცნიერებები კვლავაც მხარს უჭერენ ადამიანის ბუნების გამარტივებულ სეკულარულ ხედვას, მათ ადამიანის მიმართ თავიანთი წარმოდგენები ტექნოლოგიების პროგრესული განვითარების შესაბამისად შეცვალეს. ამ შემთხვევაში მეცნიერები ადამიანების აზროვნების შინაგან კოგნიტურ და ემოციურ პროცესებს, ასევე მეხსიერებას, კომპიუტერს ადარებენ. მათი განმარტებით, ადამიანები გარემოსგან იღებენ მრავალ სტიმულს, რასაც მოჰყვება კოდირება, შემდეგ კლასიფიცირება და ბოლოს მეხსიერებაში განთავსება, რათა ისინი მოიხმონ, როდესაც ახალი პრობლემების გადაწყვეტა დასჭირდებათ. ადამიანის კომპიუტერული მოდელი ბევრად უფრო რეალისტურია, ვიდრე ბიჰევიორისტული მოდელი, რადგან ის ცდილობს თანამედროვე ფსიქოლოგიისათვის აღადგინოს მისი “გონება” და ‘ცნობიერება’. თუმცა, იგი კაცობრიობასთან მიმართებით ისლამური ჭეშმარიტად სულიერი ხედვისგან აშკარად შორს დგას.

ამასთანავე, ქეშმარიტი რევოლუცია ფსიქოლოგიაში მაშინ მოხდება, როდესაც ის აღიდგენს თავის 'სულს' და გაითავისუფლებს თავს სამეცნიერო და სამედიცინო არტახებისგან ადამიანის ბუნების წარმოსახვისთვის. მაგრამ საკუთრივ კოგნიტური ფსიქოლოგიის რევოლუცია, რომელიც შეეცადა გაეთავისუფლებინა დისციპლინა მისი შემზღუდველი მიდგომისგან, მაინც იზღუდავს თავს ადამიანის ქცევისა და მენტალური პროცესების აღქმის ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური და სოციო-კულტურული კომპონენტების სამეულით. ის ასევე არ აქცევს ყურადღებას სულიერ კომპონენტს, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მეცნიერებაში სულ უფრო მზარდად ხდება მისი მნიშვნელობის აღიარება. სულიერი რწმენის ფაქტორის გარეშეც და მიუხედავად ცოდნის გაღრმავებისა, ამ შინაგანი მენტალური პროცესების შესწავლა ყოველთვის მეტად კომპლექსური სფერო იყო, რომელშიც სტიმულები და მათზე რეაქციები, მიზეზები და მათი შედეგები ურთიერთქმედებენ იმ სახით, რომელიც გამოწვევას წარმოადგენს დაკვირვებისა თუ გაზომვის ნებისმიერი დახვეწილი მეთოდისთვის.

### **განჭვრეტა და სხეულის/გონების საიდუმლოება**

ადამიანის შინაგანი ფსიქოლოგიური და მენტალური სამყაროს შესწავლისას ვანყდებით კაცობრიობისთვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ კითხვას: რა კავშირია სხეულსა და გონებას შორის? რამდენადაც ჩვენ მეტად

მცირე ცოდნას ვფლობთ ადამიანის ტვინის შესახებ, მატერიალისტები ამტკიცებენ, რომ ადამიანს არ გააჩნია „გონება“, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს სიტყვა გამოყენებულია თავის ქალაში მოთავსებული ტვინის აღსანიშნავად. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ რასაც ჩვენ ‘მოაზროვნე გონებას’ ვეძახით, არის მხოლოდ და მხოლოდ ტვინის ქიმიური და მისი ელექტროქიმიური ნერვული პულსების მყისიერ ცვლილებებზე რეფლექსები – მათი მოსაზრება ემყარება იმ არგუმენტს, რომ ტვინის დაზიანება იწვევს როგორც ადამიანის აზროვნების, ასევე მისი მთლიანი მახასიათებლების ცვლილებას.

მონინაალმდევე ჯგუფი ამტკიცებს, რომ სწორედ გონება აკონტროლებს ტვინს და, საბოლოო ჯამში, პიროვნების ქცევას და აზროვნებასაც. ამ ჯგუფში ყველაზე გამორჩეულია ჯონ ეკლესი, რომელმაც ნერვული სისტემის თვალსაჩინო კვლევებისთვის ნობელის პრემია მოიპოვა. ამ მკვლევარს და მისი მოსაზრებების გამზიარებელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ მათი კვლევები ადამიანის გონების აქტივობის და ნერვული სისტემის შესახებ შეიძლება სრულად აიხსნას მხოლოდ ‘გონების’, ‘რეალიზების უნარის მქონე სულის’ არსებობით, ანუ იმით, რასაც ეკლესი ‘თვითცნობიერ გონებას’ უწოდებს.<sup>1</sup>

ეკლესი და სხვა მრავალი მკვლევარი ხშირად იყენებენ სამაუნწყებლო სადგურისა და სატელევიზიო მონაცემების ურთიერთობის მაგალითს გონებისა და ტვი-

---

<sup>1</sup> J. Eccles, *Evolution of the Brain: Creation of the Self* (London: Routledge Publishers, 1991).

ნის ურთიერთმიმართების ასახსნელად. ეკლესიის თანახმად, არამატერიალური, თვითცნობიერი გონება<sup>2</sup> გამუდმებით ასკანირებს, გამოცდის და აკონტროლებს ტვინს. როგორც ეკლესია ამტკიცებს, ის, რაც ხდება ტვინის სიკვდილის შემდეგ, არის საკვანძო კითხვა, რომელზე პასუხის პოვნაც, როგორც მეცნიერებისთვის, ასევე საზოგადოებისთვის განსაკუთრებულად მიმზიდველია. როდესაც შუამავალ მუჰამადს (ს.ა.ს.)<sup>3</sup> სულის შესახებ კითხვა დაუსვეს, მან შემდეგი გამოცხადება მიიღო; „და გეკითხებიან შენ სულის შესახებ, უთხარი: სული ჩემი ღმერთის მბრძანებლობაშია, და არ მოგნიჭებიათ თქვენ ცოდნისგან მცირედის გარდა!“ (ყურანი-17:85).

კიდევ ერთი სირთულე, რომელსაც წამოჭრის თანამედროვე ბიოლოგიური კვლევები სხეულისა და გონების ურთიერთმიმართების შესახებ, არის ადამიანის გულის ზემოქმედება ტვინსა და ნერვული სისტემის ფუნქციონირებაზე. ჯოზეფ პირსი, თავის საკმაოდ დამაფიქრებელ ნაშრომში „ევილუციის დასასრული“, განმარტავს: „გულში მიმდინარე პროცესები წინ უსწრებს სხეულისა და გონების ქმედებებს... ჩვენთვის ამჟამად ცნობილია, რომ გული კომუნიკაციის ჰორმონალური, გადამცემი და, შესაძლოა, უწვრილესი კვანტური ენერგიებით

2. Ibid.

3. *وَسَلَّمَ عَلَيْهِ اللَّهُ صَلي*: (საღვთისმშობელს 'ალაჰი ვა სალამ) ქართულად: ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას. ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება წმინდა მუჰამად შუამავლის სახელის – „მუჰამადის“ ხსენებისას.

აკონტროლებს და მართავს გონებრივ ქმედებას.<sup>4</sup> პირსის თანახმად, მაშინ, როდესაც ჩვენ სიღრმისეულ სულიერ ფიქრს ვეძლევიტ, ვეყრდნობით ჩვენს უნივერსალურ სულიერ გულს, რომელიც გავლენას ახდენს ჩვენს ფიზიკურ გულზე, რომელსაც კავშირი აქვს ჩვენს გონებასთან და ჩვენს კოგნიტურ აქტივობებზე ზემოქმედებს.

### **კოგნიტური აქტივობიდან ჩამოყალიბებულ ნორმალურ და ანომალიურ ჩვევებამდე**

როგორც ფსიქოლოგების, ასევე კომპიუტერის მეცნიერების ინტერესს წარმოადგენს ადამიანის მიერ ანალიზის უნარის შესწავლა, ინფორმაციის კლასიფიკაცია და განთავსება მეხსიერებაში საჭიროების შემთხვევაში მის მოსახმობად. ზოგიერთმა მათმა გამოკვლევამ ნათელი მოჰფინა მრავალ ასპექტს, ბიჰევიორისტებმა კი არჩევანი გააკეთეს მათ იგნორირებაზე, რამდენადაც მიაჩნდათ, რომ შეუძლებელი იყო მათი შინაარსის დადგენა. მათ შეიმუშავეს მრავალი თეორია და ახსნა, რომლებიც გამომწვევას წარმოადგენდა ფსიქოლოგიის სტიმულზე რეაქციის გულუბრყვილო კონცეფციისთვის. ბიჰევიორისტებისაგან განსხვავებით, ერთ-ერთი კონკრეტული განმარტებით, ინდივიდის ყოველ განზრახულ ქმედებას წინ უსწრებს შინაგანი კოგნიტური აქტივობა. მათი კვლევებით ასევე დამტკიცდა, რომ ადამიანის გონება

---

4. J. C. Pearce, *Evolution's End* (San Francisco: HarperCollins Publishers, 1992), pp. 103–104.

დღის არც ერთ მონაკვეთში არასოდეს წყვეტს მუშაობას, იმის მიუხედავად, ინდივიდი აცნობიერებს თუ არა ამას.

ამ აღმოჩენის გარდა, უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი ქმედება იწყება შინაგანი კოგნიტური აქტივობით — იქნება ეს ცნება, მეხსიერება, წარმოდგენა, აღქმა თუ ემოცია. ასევე ნაჩვენებია იყო, რომ როდესაც კოგნიტური აქტივობა ძლიერდება, ის შეიძლება გახდეს მოტივი ან სტიმული მოქმედებისთვის; და თუ ინდივიდი მოტივირებულ ქმედებას გამუდმებით იმეორებს, ეს შინაგანი იდეები მარტივად და სპონტანურად შეიძლება გახდეს მყარი ჩვევა. არაა აუცილებელი, რომ ეს ჩვევა უნარი იყოს; იგი შეიძლება წარმოადგენდეს ემოციას, სულიერ გრძნობებს ან დამოკიდებულებებს.

შესაბამისად, კოგნიტური ფსიქოლოგია ამტკიცებს, რომ ადამიანების გაცნობიერებული ფიქრი და შინაგანი დიალოგები ზემოქმედებს მათ გრძნობებსა და ემოციებზე, იგი ასევე ფორმას აძლევს მათ დამოკიდებულებებს და რწმენებს. მოკლედ რომ ითქვას, მათ შეუძლიათ ჩამოაყალიბონ კიდევ ადამიანების ღირებულებები და ცხოვრებისეული ხედვა. განჭვრეტის საშუალებით მუსლიმებს შეუძლიათ განსაზღვრონ მათი შინაგანი 'ჯილდოსა და სასჯელის' ფსიქოლოგიური და სულიერი სტრატეგიები სულიერ განვითარებასთან მიმართებით. იმისათვის, რომ ადამიანებმა არასასურველი ჩვევები შეცვალონ და ჩაანაცვლონ უფრო ღირებული ჩვევებით, მათ არ სჭირდებათ მსოფლიოში აღიარებული ჯილდო

ან სასჯელად ელექტროშოკი. საკუთარი შინაგანი კოგნიტიური და სულიერი მისწრაფებების ღმერთის უზენაესობისა და სრულქმნილების გაცნობიერებისადმი მიძღვნით, მათი უდიერი და უღირსი ქცევის საპირისპიროდ, ისინი აუცილებლად შეიქმნიან ღვთის სიყვარულის გრძნობას, დახვეწენ ფიქრის, ბედნიერებისა და სიმშვიდის შეგრძნებებს.

თავი მეორე  
**განჭვრეტა: ადრეული მუსლიმი  
 სწავლულების ნაშრომები**

მას შემდეგ, რაც მოხდება იმის გააზრება, რომ შინაგანი ფიქრი, ემოციები, აღქმები, წარმოსახვები და იდეები, ყველა ერთად გავლენას ახდენს ინდივიდის ქცევის ფორმირებაზე – მის მიდრეკილებებზე, რწმენებზე, გაცნობიერებულ და არაცნობიერ ქმედებებზე, კარგსა და ცუდ ჩვევებზე, შესაძლებელი გახდება იმის დანახვა, თუ რატომ აქცევს ყურანი და სუნა ესოდენ დიდი ყურადღებას სამოთხისა და დედამიწის შექმნის განჭვრეტას და სიღრმისეულ გააზრებას, რომელიც შემოქმედის უზენაესობითა და მის ატრიბუტების კეთილშობილებით ავსებს მორწმუნის გულსა და გონებას. დასავლურ ფსიქოლოგიას შვიდ ათწლეულზე მეტი დასჭირდა ‘სალი აზრისკენ’ შემოსაბრუნებლად იმ ზეგავლენის აღიარებისთვის, რასაც განჭვრეტა და კოგნიტური პროცესები ახდენს ადამიანის მრწამსზე, ქცევებსა და გარეგან ქმედებებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიღწევები ადრეული მუსლიმი მკვლევრებისთვის არ იყო უცნობი.

იბნ ალ-კაჰმი თავის ნაშრომში „ალ-ფაჰავა’იდ“ (الفوائد, სულიერი სარგებლები) გარკვევით ამბობს, რომ ყოვე-

ლივე პიროვნებაში უნდა დაიწყოს, როგორც გულში ნაფიქრი, უხმო ნათქვამი ან შინაგანი დიალოგი, რომლისთვისაც იგი გამოიყენებს არაბულ ტერმინს „ხავატირ“ (خاطر). სიტყვა ხავატირ არის მრავლობითი ფორმა სიტყვისა ხატირ (خطر), რომელიც ნიშნავს აჩქარებულ, შინაგან, ფარულ აზროვნებას, ცნებას ან ქვეცნობიერ აზრს, რომელიც შეიძლება მყისიერად გაჩნდეს. თანამედროვე ფსიქოლოგებს შეუძლიათ იგი „ავტომატურ ფიქრებს“ შეადარონ, რომელიც, როგორც კოგნიტური თერაპისტი აარონ ბექი ამტკიცებს, მან აღმოაჩინა 1970-იან წლებში! თავის კლასიკურ წიგნში *კოგნიტური თერაპია და ემოციური დარღვევები*, მან ექვსი გვერდი გამოყო სექციისთვის, რომლის ქვესათაურია ‘ავტომატური ფიქრების აღმოჩენა’, იმის აღსანერად, თუ როგორ მივიდა იგი ამ აღმოჩენამდე.<sup>5</sup>

იბნ ალ-კაფიმი მუსლიმს ურჩევს მისდიოს ბედნიერების მომტან და ღვთისმოსავ ცხოვრების წესს შინაგანი მყისიერი ფიქრების ნეგატიური „ხავატირის“ და „ვასაჰისის“ (الوسواس, – ორაზროვანი ჩურჩულები) წინააღმდეგ ბრძოლით, სანამ ისინი ემოციად ანდა იმპულსად იქცევა. დამატებით, იბნ ალ-კაფიმი იძლევა შინაგანი კოგნიტური აქტივობის შესანიშნავ აღწერილობას და აფრთხილებს საკუთარ მკითხველს, რომ ღმერთს ადამიანისთვის არ მიუცია ისეთი უნარი, რომელიც სრულად

---

<sup>5</sup> A. T. Beck, *Cognitive Therapy and the Emotional Disorders* (New York: New American Library, 1976), pp. 29–35.

აღმოფხვრის მყისიერ ფიქრებს და განსჯას, ვინაიდან, ისინი ისევე შეუვალია, როგორც სუნთქვის შეკავება. შემდეგ იგი აცხადებს, რომ ქმედებები და ქცევები მხოლოდ მაშინ შეიძლება გააჟღერდეს, როდესაც მათი შინაგანი და განჭვრეტითი ცნებები მომდინარეობს ღმერთთან მჭიდრო სულიერი კავშირისგან. ადრეული მუსლიმი მეცნიერების მიერ შექმნილი ლიტერატურა ყურანიდან და სუნადან მიღებულ ცოდნას ეფუძნება, რომელიც ჩამოყალიბებულია სასარგებლო ფსიქოლოგიურ პრინციპებად.

აბუ ჰამიდ ალ-ლაზნლმ დიდი წვლილი შეიტანა განჭვრეტითი თერაპიების თეორიულ ასპექტებში, მაგრამ მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია მათი პრაქტიკული ასპექტები მრავალი რეალისტური მაგალითის წარმოდგენით. „იჰზა‘ ‘ულუმ ად-დინში“ ის ამბობს, რომ თუ მუსლიმს სურს საუკეთესო ქცევების ათვისება, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, მან უნდა შეიცვალოს საკუთარი თავის მიმართ შეხედულება და თავი უნდა წარმოიდგინოს სასურველ პირობებში. ალ-ლაზნლმს თანახმად, ვინაიდან ყველა ქმედება საფუძველი კოგნიტური, ემოციური ან ინტელექტუალური მენტალური აქტივობაა, ყველა, ვისაც განჭვრეტისთვის მიცემული აქვს ხანგრძლივი დრო, ღვთისმსახურებასა და ღვთისმორჩილების აქტებს საკმაოდ იოლად განახორციელებს. შესაბამისად, ის მორწმუნეები, რომლებიც ღრმა ისლამური განჭვრეტით არიან მოცულნი, საგნებს განჭვრეტენ ადრეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით; სიმბოლოების და

გამონათქვამების მეშვეობით, რომლებითაც აღიჭურვებიან საკუთარი ენის გამოყენების საფუძველზე; და იმ წარმოდგენით, თუ ვინ იყვნენ ადრე და ვინ შეიძლება გახდნენ მომავალში.

*თაფაქურის* ისლამში სამ ურთიერთდაკავშირებულ საფეხურს გაივლის, რომლებიც წინ უძღვიან მეოთხე და ფინალურ საფეხურს, რომელსაც „სულიერი გაცნობიერების“ საფეხური ვუნოდებ (შუჰუდ). პირველი საფეხური იწყება, როდესაც კონკრეტული ობიექტის განჭვრეტა პირდაპირი სენსორული აღქმით ხდება – მხედველობით, სმენით, შეხებით, ყნოსვით და გემოთი – ან არაპირდაპირ, როგორცაა წარმოსახვის შემთხვევა. განჭვრეტით აზროვნების მეორე საფეხური იწყება, როდესაც პიროვნება ახლოდან გაეცნობა ამ მონაცემებს, დააკვირდება მათ ესთეტიკურ ასპექტებს და განსაკუთრებულ მახასიათებლებს. მესამე საფეხურია, როდესაც მოაზროვნე სუბიექტი კვებს განჭვრეტის შედეგად წარმოქმნილ ობიექტსა და შემოქმედს შორის ზღვარს. ამგვარად, ის განსმჭვალულია შემოქმედისადმი მორჩილებისა და მისდამი მადლიერების გრძნობებით – მისი, ვისი წყალობითაც არსებობს განჭვრეტის ფასეული ობიექტი, ისე როგორც ყოველივე ამ სამყაროში, რადგანაც მოაზროვნის მიერ გაცნობიერებულია, რომ არაფერი იქმნება ღვთის ნების გარეშე და ყოველივე მისგან წარმოდგება. სწავლისა და ჩვევების ჩამოყალიბების პერსპექტივიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მორწმუნეები, რომლებიც რეგულარულად არიან გაჭვრეტით დაკავებულნი, მიაღწევენ მეოთხე საფეხურს, რადგან მედიაცია, გაძლი-

ერებული მუდმივი გახსენებით, გადაიქცევა ღრმა სული-  
ერ ქცევად.

ამასთანავე, ადამიანის სიღმისეული ფიქრი არ უნ-  
და შეიზღუდოს მხოლოდ მშვენიერისა და საუცხოოდ  
კონსტრუირებული საგნების განჭვრეტით ამ სამყაროში,  
რომელშიც არსებობს მშვენიერიც და მახინჯიც, დიადიც  
და უმნიშვნელოც, კეთილიც და ბოროტიც. აღქმა შესაძ-  
ლოა მოიცავდეს მტკივნეულ, საშიშ ან დამზაფრავ გა-  
მოცდილებებს, მაშინაც კი, როდესაც გაგება ემოციუ-  
რად საპირისპიროა. თაფაქურ-ი შესაძლოა კონცენ-  
ტრირებული იყოს არასასიამოვნო გამოცდილებებიდან  
მიღებულ გაკვეთილზე და მოაზროვნეს ასწავლიდეს მა-  
თი თავიდან არიდების გზებს. ფაქტობრივად, შემზარავი  
სცენების ხილვა და პირადი სირთულეების გადალახვა  
პიროვნებას უბიძგებს განჭვრიტოს და მიიღოს ისინი,  
როგორც გაკვეთილები, შესაძლოა უფრო ეფექტური  
ფორმით, ვიდრე მაშინ, როდესაც ეს გამონვეულია, მა-  
გალითად, შენობის მშვენიერებით, სიდიდითა და სიზუს-  
ტით მშვიდი ტკბობით.

## თავი მესამე

### ისლამური განჭვრეტა და თანამედროვე მედიცინის პროცედურები

ბოლო წლებში, ტრანსცენდენტური მედიცინა და მსგავსი პროცედურების პრაქტიკა განსაკუთრებით პოპულარული გახდა ევროპასა და ამერიკაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფენომენი უპრეცედენტო იყო ამ ერების ისტორიაში. ეს მოხდა დაახლოებით მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ასეთი სახის მედიცინა, რომელსაც ძველი აღმოსავლური და ინდური ფესვები აქვს, მეტად დადებითად მოქმედებს ისეთ დაავადებებზე, რომლებიც უკავშირდება ემოციურ, კოგნიტურ და ფსიქიკურ დარღვევებს. არსებობს მედიცინის სარგებლიანობის არაერთი დადასტურებული მაგალითი, მეტიც – ისინი უკავშირდებიან განჭვრეტას, როგორც ღვთისმსახურების ისლამისეულ ფორმას.

თანამედროვე სამედიცინო კვლევები ასევე აჩვენებს, რომ ისლამურ მინერალობებს, წესებსა და სასურველ ქცევებს უდავო ღირებულება აქვს მორწმუნეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური სიჯანსაღის დაცვისთვის. მაგალითად, სხეულის სისუფთავეს, რომელსაც მორწმუნეები აღწევენ ყოველდღიური ხუთი ლოცვის (ნამაზის)

შესრულებამდე განზანვის (ვუდუ<sup>6</sup>) შედეგად, პარასკევის ტრადიციული ლოცვის წინ ან ცოლ-ქმარს შორის სქესობრივი კავშირის შემდეგ სხეულის წესად დადგენილ დაბანას (ლუსლ) და სუნას სხვა პრაქტიკებს აქვს აშკარა სანიტარული ასპექტები. გარდა ამისა, მეოცე საუკუნის ბოლოს გამოქვეყნებულ ასობით წიგნსა და სამეცნიერო სტატიაში ხაზგასმულია რწმენასთან შერწყმული მედიაციის ფასეულობა ფსიქოლოგიური, ფსიქო-ფიზიოლოგიური და ორგანული დარღვევების მკურნალობისას.

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესო და მრავლისმეტყველ გამოკვლევაში, რომელიც გადმოცემულია ს. ვოლფის მიერ, ნაჩვენებია, თუ როგორ შეუძლია პაციენტის რწმენას წამლის ეფექტსაც კი საპირისპირო შედეგი შესძინოს. თანამედროვე კვლევებმა დამაჯერებლად აჩვენა, რომ ქრონიკული ფსიქოლოგიური სტრესი, რომელიც თან სდევს შფოთს, დეპრესიას,<sup>6</sup> მარტოობას და თავდაჯერებულობის დაკარგვას, სერიოზულ ზეგავლენას ახდენს ადამიანის იმუნიტეტზე ნებისმიერი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში. კვლევებმა ახალი დისციპლინის წარმოქმნა გამოიწვია – ფსიქონეირო-იმუნოლოგიისა, რომელმაც პირველად აკავშირებს ერთმანეთთან სპეციალიზაციის ორ განსხვავებულ სფეროს, კერძოდ, სოციალური მეცნიერებებსა და ფსიქო-

---

<sup>6</sup> S. Wolf, “Effects of Suggestion and Conditioning on the Action of Chemical Agents on Human Subjects: the Pharmacology of Placebos”, *Journal of Clinical Investigation* 29 (1950), pp. 100–109.

ლოგიას, ასევე ადამიანის იმუნოლოგიის ქიმიას.<sup>7</sup> ინდუსებისა და ბუდისტებისთვის ათასობით წლის წინ ცნობილი იყო მედიტაციის მარტივი ინსტრუქციები და ისინი მისდევდნენ მათ.

კლინიკებსა და სამედიცინო ლაბორატორიებში ჩატარებული არაერთი ექსპერიმენტული კვლევით, რომლებშიც ფსიქო-ფიზიოლოგიური ცვლილებების შეფასების უახლესი მეთოდებია გამოყენებული, დადასტურდა, რომ კონცენტრაციული მედიტაცია, როგორცაა ტრანსცენდენტალური მედიტაცია, მართლაც სამედიცინო რევოლუციაა, სადაც პაციენტები თავიანთი დაავადებების მკურნალობისთვის და ფსიქოლოგიური ცხოვრების გამდიდრებისათვის მენტალურ, კოგნიტურ და სულიერ ძალას იყენებენ.

თერაპევტების მიერ განსაზღვრული მიმართულებები წიგნებსა და საგანმანათლებლო აუდიო და ვიდეო ჩანაწერებში რწმენის ფაქტორთან კომბინირებულ მედიტაციისა და რელაქსაციის შესახებ, რომელიც პოპულარული გახდა ევროპასა და ამერიკაში, მსგავსია მათი, რომელსაც მუსლიმი თაყვანისმცემელი იყენებს, რიტუალური ლოცვის (*სალათ*) დასრულების შემდეგ მჯდომარე მდგომარეობაში ფიქრისას ღმერთის წყალობაზე, მის სიდიადესა და მისი შემოქმედების სრულყოფილებაზე, უწყვეტად იმეორებენ რა ყოვლისშემძლის სადიდებელ სიტყვებს. *თაფაქქურ*-ის პრაქტიკით მუსლიმს მინიმალური

---

7. J. P. Pinel, *Biopsychology* (Boston: Allyn & Bacon, 1993), pp. 591–593.

დროისა და ენერჯის დახარჯვით ამაღლებული სულიერი მდგომარეობის მიღწევა შეუძლია. მარტოოდენ ყურანის პოეტური სიტყვების მშვენიერი ხმით ნამღერის მოსმენით ყველა დახვეწილი მედიტაციური პასუხის მიღება შეიძლება სულ რამდენიმე წუთში. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდაში, აქბარის კლინიკაში ჩატარებული რთული ექსპერიმენტების სერიებით, დოქტორი აჰმედ ელყადი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ როცა მუსლიმები უსმენენ ყურანის აიებს, განურჩევლად იმისა, მსმენელის მშობლიური ენა არაბულია თუ არა, ისინი განიცდიან ფსიქოლოგიურ ცვლილებებს, რაც მათ ათავისუფლებს სტრესისა და შფოთვისგან, ასევე მშვიდად გრძნობენ თავს, ეზრდებათ იმუნიტეტი დაავადების წინააღმდეგ და იმ სხვა ცვლილებების მიმართ, რომლებიც ზემოთ არის აღწერილი ტრანსცენდენტალური მედიტაციის შესახებ.<sup>8</sup>

განჭვრეტას, როგორც ისლამური თაყვანისცემის ფორმას და სხვა აღმოსავლურ და დასავლურ მედიტაციას შორის მსგავსება, ფაქტობრივად ზედაპირულია, რამდენადაც ისლამური *თაფაქქურ*-ის საფუძველი ღმერთის ერთობის რწმენაა. ისლამური სიღრმისეული ფიქრი ეფუძნება პროგრესირებად სვლას ქმნილების განჭვრეტიდან მის შემოქმედამდე. ეს არის უწყვეტი რაციონალური მოძრაობა. *თაფაქქური* სულიერი პრაქტი-

---

<sup>8</sup> იხ. Ahmed Elkadi, "Quranic Concepts for Eliminating Negative Emotions: Another Aspect of the Healing Effects of the Quran", unpublished paper presented at the 5th International Conference on the Scientific Signs of Quran and Sunnah, Moscow, Russia, September 1993.

კაა, რომელშიც უზენაესი ღმერთის უკეთ შეცნობისათვის მომარჯვებულია ყველა კოგნიტური და სულიერი უნარი. ეს არ არის დარღვევების მკურნალობის ირაციონალური ან ემოციური ძალისხმევა, არც მტკივნეული ვარჯიში, რომლითაც სხეულის გვემა ხდება. მორწმუნეებმა იციან, რომ ამ სამყაროში არსებული ყოველი ატომი უზენაეს ღმერთს აქებს და განადიდებს. ყურანში ვკითხულობათ: „...არ არს რაიმე, მას რომ არ განადიდებდეს ქებით, მაგრამ თქვენ ვერ ჩანვდებით მათ ქება-დიდებას“ (ყურანი-17:44). მორწმუნეებს განჭვრეტით არ შეუძლიათ სამყაროს მიერ ღმერთის განდიდების გაშიფვრა, ისინი მათ და სხვა ქმნილებების მიერ განდიდებას შორის ჰარმონიას გრძნობენ. ეს გრძნობა უფრო ღრმა ხდება განჭვრეტის გაგრძელებით მანამდე, სანამ ის სულიერ ამაღლებას, სიხარულის შეგრძნებას და სულიერ სიამოვნებას არ მიაღწევს, რასაც ვერ შეედრება ვერანაირი მიწიერი ნეტარება.

## თავი მეოთხე

**ყურანი და ღმერთის  
შემოქმედების შესახებ ფიქრი**

ისლამში ღმერთის შემოქმედების შესახებ თაფაქური (განჭვრეტა) თაყვანისცემის ერთ-ერთი უძლიერესი ფორმაა. შესაბამისად, ყურანის არაერთი აია ახალისებს ამ აქტივობას სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ნებისმიერი ქცევისა თუ სულიერი მდგომარეობისთვის მისასადაგებლად. მიზანია ადამიანების ნახალისება შეიცნონ თავიანთი ღმერთის ნიშნები შორსმჭვრეტი და მგზნებარე გულებით, სხვადასხვა მეთოდების საშუალებით.

თუმცა, ისლამში ჭეშმარიტი თაფაქური შეიძლება მომდინარეობდეს მხოლოდ გულიდან, რომელსაც სწამს და გონებიდან, რომელიც ემორჩილება მას და მის ამაღლებულ ატრიბუტებს. ეს არის ღმერთის ერთობის ურყევი რწმენა (თავჰიდ), რომელიც მტკიცე მონმობაა იმისა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთი ერთადერთია, და მხოლოდ ღმერთმა შექმნა სამყარო, იგი მართავს და იცავს მას. არსებითაა მყარი შეურყვნელი რწმენის მიღწევა ისლამური განჭვრეტის სულიერი მოგზაურობის ნამონყებამ-

დე. მორწმუნესათვის ეს სწორი მიმართულების მაჩვენებელი შუქურა და მყარი ფესვები იქნება, რომლებიც მორწმუნეებს სწორი გზიდან აცდენისაგან დაიცავს.

ყურანი ცდილობს ადამიანების გულები მიიზიდოს არაერთი გზით. მათგან ერთ-ერთია ღმერთის მონყალეობისა და წყალობის ხსენება. მათ *თაფაქქურ*-ს შეუძლია წარმოქმნას შემბრალებლობის და სიყვარულის გრძნობა. ადამიანის და დედამიწის ბინადარი სხვა ქმნილებების მიმართ ღმერთის მონყალეობასა და მწყალობლობაზე *თაფაქქურ*-ის შესხენება წვდება მათ გულებს, ვინც მგრძნობიარე, მადლიერი და ბრძენია. ასეთი აიების უმრავლესობა იწყება კითხვით „*ნუთუ არ უნახავთ მათ?*“ ან „*ნუთუ ვერ ხედავენ ისინი?*“ მაგალითად: „*ნუთუ არ შეხედავენ აქლემებს, როგორღა გაჩენილა? და ზეცას, როგორ ამალღებულა? და მთებს, როგორ არის აღმართული? და მინას, როგორ გადაჭიმულა?* (ყურანი-88: 17-20).

საპირისპიროდ, ზოგიერთი აია ამხნევეებს და ლოცვას აღავლენს მენტალურად სნეულთათვის, ვინც ვერსად ხედავს სამყაროში იმას, რაც მათთვის გაკვეთილი იქნებოდა და ახსენებს მათ უთვალავ ღვთიურ წყალობათა შესახებ. ყურანი ასევე მოუწოდებს ადამიანებს განჭვრიტონ ღვთიური ნიშნები სამყაროში შინაგანი ესთეტიკური შეგრძნებების გამოღვიძებით. მაგალითად ყურანი-35:27-28, რომლის მიზანია შთააგონოს ადამიანებს გულწრფელი გრძნობები და ემოციები, რათა მათ შეიძინონ უნარი აღიქვან დედამიწაზე არსებული ყოველივეს მშვენიერება – იქნება ეს სხვადასხვა ფერები და შუქ-

ჩრდილები, მცენარეები, ცხოველები და უსულო საგნებსაც კი; ან კაცობრიობისადმი თავისი წყალობების ჩვენების შემდეგ რქოსანი პირუტყვის შექმნით ადამიანების საზრდო-სარჩენად, ღმერთი შეახსენებს თავის მორჩილებს, რომ იფიქრონ მათ მშვენიერებაზე, მაგალითისთვის: „რომელმაც სრულყოფილჰყო ყოველივე და ინყო ადამიანის გაჩენა ტალახისაგან“ (ყურანი-32:7).

ამასთანავე, განჭვრეტის დონესთან დაკავშირებით საკვანძო საკითხი ის არის, რომ ღმერთი თავად იფიცება ზოგიერთი თავისი ქმნილებით. ეს არის უდიდესი მონოდება ფიქრისა ამ ქმნილების შესახებ, მის სიღრმეებში ჩანვდომისა და მისი შინაარსის სიღმისეული გააზრებისა. ყოვლისშემძლე იფიცება აისით, სისხამ დილით, ბინდით, მთვარით, ფიკუსის ნაყოფით და ზეთისხილით; ის იფიცება ქარებით, ვარსკვლავებით, ცით, ალიონითა და დაბინდებით.

ამასთანავე, ყურანის არაერთი აია მოუწოდებს ზოგადად სამოთხისა და დედამიწის შესახებ სიღრმისეული ფიქრისკენ, და რამდენადაც ადამიანი მიჩნეულია ყველაზე მნიშვნელოვან ქმნილებად, ასევე ბევრი აია სპეციფიკურად ეხება კაცობრიობის შექმნის გააზრებას. რაც შეეხებათ ავი გულის მქონეთ და ამპარტავანებს, ყურანი მათ მსგავსი კითხვებით საყვედურობს: „განა ადამიანი ვერ ხედავს, რომ ჩვენ გავაჩინეთ ერთი წვეთი წყლისაგან? შემდეგ იგი გამოგვეცხადა ცხად მონინაალმდეგ!“ (ყურანი-36:77). ადამიანის ბუნების ესთეტიკური ასპექტის ამალლებასთან დაკავშირებით ყოვლისშემძლე ამ-

ბობს: „*უეჭველად, ჩვენ ადამიანი საუკეთესო ფორმად გაგაჩინეთ*“ (ყურანი-95:4). ყოვლისშემძლე ასევე დებს ფიცს: „*და ვფიცავ, ცისა და ქვეყნის ღმერთს! უეჭველად იგი ჭეშმარიტებაა, როგორც თქვენი ლაპარაკი.*“ (ყურანი-51:23).

მარტივი ფსიქოლოგიური ფენომენი, რომლის ეფექტებიც შეიძლება შემონმდეს ლაბორატორიულად, როგორცაა სწავლა, მეხსიერება, ემოციები და მოტივაციები, სრულად ჯერ კიდევ არ არის გააზრებული ფსიქოლოგიის მიერ. მეტიც – ადამიანის რეალური ბიოლოგიური და მენტალური ასპექტების გაგება მხოლოდ ზედაპირულ დონეზეა შესაძლებელი. შესაბამისად, ღვთიური მონოდება, რომელითაც ისმება კითხვა, თუ როგორ შეიძლება ვერ შეამჩნიოს ადამიანმა საკუთარი თავი როგორც სასწაული ქმნილება – „*და დედამინაზე სასწაულია მტკიცე მორწმუნეთათვის და თქვენს სულებში. ნუთუ არა გულისხმაჰყობთ?!*“ (51: 20/21) – ყოველთვის დარჩება ისეთივე ახალი და გასააზრებელი, როგორც მისი პირველად განცხადების დროს იყო.

თავი მხუთე

**ფიქრი როგორც**  
**თავყანისცემის შეუზღუდავი ფორმა**

სამოთხისა და დედამიწის, ასევე ყველაფრის, რასაც ისინი მოიცავს, შექმნის განჭვრეტა არის პრაქტიკა, რომელსაც დროში, ადგილსა და საგანთა ბუნებაში ცვლილებები ვერ აფერხებს. ის არის თავისუფალი, შეუზღუდავი ღვთისმსახურების ფორმა. ის ასევე არის კოგნიტური და ემოციური პროცესი, რომელიც აცოცხლებს გულს და ანათლებს აღქმას, რამდენადაც გონება მალღდება სამყაროში მისი შექმნელისგან და მბრძანებლისგან მომდინარე ღმერთის ნიშნების განჭვრეტისგან. ეს არის *თაფაქურ*-ის რეალური მნიშვნელობა.

შექმნის სანყისზე *თაფაქურ*-ის პრაქტიკას ყურანი ახალისებს: *„უთხარი: იმოგ ზაურეთ დედამიწაზე და ნახეთ, როგორ დაინყო სიცოცხლის გაჩენა. მერე ალლაჰი დაადგენს უკანასკნელ სიცოცხლეს. ალლაჰი ყოვლისშემძლეა!“* (ყურანი-29:20). მორწმუნეთა მიერ აწმყოს გაააზრების ნახასილებასთან ერთად, ყურანი მორწმუნეებს მოუწოდებს დაფიქრდნენ გადაშენებული ერების ბედისწერის შესახებ: *„ნუთუ არ უმოგ ზაურიათ მათ ქვეყანაზე*

და არ უნახავთ როგორი იყო აღსასრული მათი, რომელნიც მათ უწინ იყვნენ? ისინი მათზე ძლიერნი იყვნენ...” (ყურანი-30:9). ხოლო, მორწმუნეების ამ სამყაროს განჭვრეტის ბრძანებისას, ყურანი მათ საიქიოზე დაფიქრებას მოუწოდებს: „...ასე განგიმარტავთ ალლაჰი თავის აიათებს, ეგებ დაფიქრდეთ სააქაო და საიქიო ცხოვრებაზე!“ (ყურანი-2:219-220).

ყურანი დიდ ყურადღებას უთმობს განჭვრეტის თავისუფლებას და მოუწოდებს განჭვრიტონ ღვთის ბუნებრივი ქმნილებები, რაშიც ადამიანს ნვლილი არ შეუტანია, როგორცაა ზეცა, მთები და ზღვები. ყურანი მორწმუნეების ყურადღებას ასევე ამახვილებს იმ სიკეთეებზე, რომლებიც მათ ღმერთისგან ეწყალობათ. შეუძლებელია ღმერთის მიერ ჩამოყალიბებული ბუნების კანონების კანონზომიერების მიღმა ადამიანმა რაიმეს აღმოჩინა ან გამოგონება შეძლოს. მაგალითად, „ღმერთი თქვენი, რომელიც გადაადგილებს თქვენთვის გემებს ზღვაში, რათა ეძიოთ მისი ნყალობა, უეჭველად მოწყალეა იგი თქვენთვის!“ (ყურანი-17:66). უფრო მეტიც, ღმერთი ყურანში გვამცნობს, რომ როგორც ადამიანის, ასევე მისივე გონებითა და ხელით შექმნილის შემოქმედიც თავად ის არის: „თუმცა ალლაჰმა გაგაჩინათ თქვენც და რასაც თქვენ აკეთებთ“ (ყურანი-37:96). სამყაროს განჭვრეტა შეუზღუდავი სულიერი აქტივობაა. თუმცა სამყარო ასევე მოიცავს უხილავ ქმნილებებსა და ფენომენებს, რომლებიც ინვესს მუსლიმების ცნობის-მოყვარეობას და აყალიბებს მათი მრწამსის არსებით ასპექტებს.

თავი მემკვიდრე

### უხილავისა და მისი საზღვრების განჭვრეტა

მიუხედავად იმისა, რომ ისლამში *თავაქქური* ღვთისმსახურების თავისუფალი ფორმაა, რამდენადაც არ არსებობს იმის საზღვრები, რაც ადამიანმა შეიძლება აღიქვას და წარმოიდგინოს – იქნება ეს ხილული, როგორცაა მზე, მდინარეები და პლანეტები ან უხილავი, როგორცაა ანგელოზები და ჯინები, მაინც არსებობს ერთი აკრძალვა – კერძოდ, საკუთრივ ღვთის არსის განჭვრეტა. ეს არამხოლოდ აკრძალულია, არამედ შეუძლებელიცაა, რადგან თავად ღმერთის გარდა, არავინ უნყის მისი არსის შესახებ. ყოვლისშემძლე საკუთარი თავის შესახებ ყურანში გვამცნობს: „*იგი გამჩენია ცათა და ქვეყნის!... არაფერია მსგავსი მისი, რამეთუ იგია ყოვლის მსმენი, ყოვლის მხედველი*“ (ყურანი-42:11).

ღმერთი დროისა და სივრცის საზღვრებისგან თავისუფალია, რომელიც კაცობრიობას ზღუდავს. ამასთანავე, ადამიანებს არ შეუძლიათ რაიმე მოვლენის ვიზუალიზაცია კონკრეტული დროისა და ადგილის მითითების გარეშე. მათ ასევე არ ხელეწიფებათ რაიმეს ვიზუალიზაცია საკუთარი ადრეული გამოცდილების მოხმობის

გარეშე. ადამიანებს გონებისა და ნერვული სისტემის შესახებ, რომელებიც მათ ადამიანურ თვისებებს სძენს, მწირი ინფორმაცია აქვთ. მათი გონების, სულის, ფსიქიკის შესახებ ცოდნა ფარული საიდუმლოებები და დაცული განძია. სწავლულები ასევე ამტკიცებენ, რომ რაც არ უნდა წარმოიდგინოს მავანმა ღმერთის არსის შესახებ, ის მაინც არ იქნება ჭეშმარიტების თანმთხვევი. იბნ 'აბბასი გადმოგვცემს: „ზოგიერთმა მორწმუნემ უზენაესი ღმერთის განჭვრეტა სცადა, მაგრამ შუამავალმა მათ მიუგო: 'განჭვრეტთ ღმერთის შემოქმედება და არა საკუთრივ ღმერთი, რადგან თქვენ ვერასოდეს მიაგებთ მას ღირსეულ პატივს.“<sup>9</sup> ღმერთის ატრიბუტები ისეთივე ბუნებისაა, როგორც მისი არსი. რამდენადაც ღმერთის არსის ჭეშმარიტი ბუნების შეცნობა მხოლოდ მისთვისაა შესაძლებელი, იგივე ითქმის მისი ღვთიური ატრიბუტების შესახებაც.

ჩვენი სამყარო ჰგავს დიდ საშვილოსნოს, რომელშიც სხეული ისეთივე როლს თამაშობს, როგორსაც პლაცენტა საშვილოსნოში. როდესაც სიკვდილის საათი მოდის, სული გადალახავს ბარიერს ცხოვრების უფრო მაღალ განზომილებაში გადასასვლელად, რომელიც ბევრად უფრო ფართო და კომპლექსურია, ვიდრე ამქვეყნიური სამყარო და ამიერიდან მას აღარ ესაჭიროება სხეული (ისე, როგორც ახალშობილს აღარ სჭირდება პლაცენტა) და იგი დაკრძალულია. ამგვარად, ადამიანი რა-

<sup>9</sup> . Al-Suyuti, Jalal al-Din, Al-Jami al-saghir fi Ahadis al-Bashir al-Nathir, vol. 1, (Beirut: Dar al-Fikr, 1981), p. 514.

კეტის მსგავსად აგრძელებს ერთი საფეხურიდან მეორე, უფრო მაღალზე გადასვლას. თითოეული საფეხურის დასასრულში და სანვავის ამონურვისას, მთავარ სხეულს სცილდება ნაწილი, რათა მისი გადაადგილება უფრო სწრაფი გახადოს, რადგან იგი უფრო ნაკლები წონის და მეტი ენერგიის მატარებელი ხდება. შესაბამისად, სამოთხის ნეტარებებისა და მისი ყველა სახის ხილის, მოჩანჩქერე ნაკადულების და მშვენიერ ქალწულების მსგავსი არსებობს ჩვენს ამქვენიურ სამყაროშიც. თუმცა, ბუნებრივია, ისინი მხოლოდ წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც შემოთავაზებულია სამოთხეში.

არაერთ ადრეულ და თანამედროვე სწავლულს, ასევე მორწმუნეს, ჩანერილი აქვს სიკვდილის ბუნების, ზღუდესა და საიქიოს შესახებ საკუთარი განჭვრეტის გამოცდილებები. მუსლიმებს შეუძლიათ იფიქრონ ამის შესახებ და საიქიო ცხოვრების ნეტარებაზეც, მიუხედავად იმისა, რომ მათი რეალობა ადამიანური აღქმის მიღმაა, რადგან ისინი არიან ქმნილებები და არა შემოქმედი. არაფერი არსებობს სამყაროში გარდა შემოქმედი ღმერთისა და მისი შემოქმედებისა. მაგრამ მორწმუნეებს მინიჭებული აქვთ ყოველივე არსებულის განჭვრეტის თავისუფლება.

## თავი მეშვიდე

### განჭვრეტის ინდივიდუალური დონეები

არსებობს განჭვრეტის სხვადასხვა დონეები, რომლებიც ადამიანებმა გამოცდილებისდ საფუძველზე შეიძინეს. პირველი ფაქტორი, რომელიც განჭვრეტისა და მედიტაციის სიღრმეზე გავლენას ახდენს, დამოკიდებულია ინდივიდის რწმენის დონესა და ღმერთთან მის სიახლოვეზე. რამდენადაც უფრო ღრმაა ადამიანის მიერ ღმერთის რწმენა, სიყვარული და მორჩილება, იმდენადვე უფრო ღრმაა შემოქმედების განჭვრეტა და მედიტაცია.

მეორე ფაქტორი მორწმუნეების პიროვნებასა და მათ შინაგან შემძლეობას უკავშირდება. მისი ხარისხი დიდწილად დამოკიდებულია ნერვული სისტემის ბუნებაზე. ინტროვერტი ადამიანები ამჯობინებენ ისეთი საქმიანობას, რომლებიც მათგან არ მოითხოვს სხვა ადამიანებთან ერთად ყოფნას და აღმგზნებ აქტივობებში მონაწილეობას. მათ ურჩევნიათ ისეთი აქტივობები, როგორიცაა მარტო კითხვა, ბაღში ან ბიბლიოთეკაში მუშაობა. მათ სიამოვნებთ საკუთარი რუტინული სამუშაო და არასოდეს ბეზრდებათ იგი. თუ ისინი ასევე არიან ღრმა ფიქრს მიცემული მორწმუნეები, მათ შეუძლიან ჩაერთონ შემოქმედების გაჭვრეტაში უფრო ხანგრძლივად და უფრო ღრმად, ვიდრე სხვა ადამიანები.

ექსტრავერტების ნერვული სისტემის რეტიკულარული ფორმაცია აფერხებს ან ასუსტებს ნერვულ სიგნალებს და სტიმულს, რომლებიც ტვინის ზედა ცენტრს მიეწოდება. შესაბამისად, წინა ტიპის საპირისპიროდ, ექსტრავერტებს საკუთარ გარემოში სჭირდებათ ინტენსიური და აღმგზნები გამოცდილებები. თუმცა, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ექსტრავერტები უფრო დაბლა დგანან. უფრო მეტიც – თავიანთი ნერვული და ფსიქოლოგიური სისტემის სიქველიდან გამომდინარე, მათ შეუძლიათ გადაუსწრონ კიდევ ინტროვერტებს რელიგიურ მისწრაფებებში, რომელიც მოითხოვს სხვებთან თანამშრომლობას, მეგობრების გაჩენას ან საჯაროდ სიტყვით გამოსვლას.

მესამე ფაქტორი, რომელიც განჭვრეტის სიღრმეზე ზემოქმედებს, ფსიქოლოგიური ხასიათისაა. მართლაც, *თაფაქურ*-ისათვის საჭიროა დამშვიდებული გონება და სინყნარე, აგრეთვე, როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური სიჯანსაღე. სიღრმისეული *თაფაქურ*-ის გამყარებისთვის ფიზიკური სიჯანსაღე უპირობოდ მნიშვნელოვანია. ამასთანავე ნათელია, რომ სწეულ ადამიანს, ზედმეტად მსუქანს, ან მას, ვინც დიდადაა წამლებზე დამოკიდებული, არ შეუძლია თავისი სულიერი სტატუსი *თაფაქურ*-ის მაღალ დონეზე აიყვანოს. მორწმუნე, ვინც შეპყრობილია შფოთვით, დებრესიით, მანიით ან სხვა ნებისმიერი ფსიქოლოგიური დარღვევით, არ უნდა ელოდეს მაღალი დონის განჭვრეტის შესაბამისი კონცენტრაციის მიღწევას. მეოთხე არის მორწმუნეზე გარემოს ზემოქმედების ფაქტორი – შეეხება იმას, თუ როგორ იკმაყოფილებენ მოთხოვნებს და როგორ უმკვლავ-

დებიან ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრობლემებს, და იმ არეს, რომელშიც ამ მოთხოვნებს შეუძლია მორწმუნის ფიქრის უნარის დაბრკოლება ან გაძლიერება.

მეხუთე ფაქტორი კულტურის ზეგავლენაა. ბავშვობაში ათვისებული ჩვევები ზოგიერთი კულტურიდან, იქნება ეს ისლამური ან არაისლამური, ფორმირებული ამ ხალხში, უნერგავს ბუნებრივი და ხელოვნური არტისტული მშვენიერების სიყვარულს და დაფასებას. ასეთ კულტურებში აღზრდილი ადამიანები თავიანთ დროსა და ფულს ხარჯავენ, სიამოვნებას იღებენ და განჭვრეტენ ისეთი რაღაცებს, როგორცაა თვალწარმტაცი პეიზაჟი, ანდა ისინი ყიდულობენ მშვენიერ ნახატებს. მეორე მხრივ, არსებობს კულტურები რომლებიც ინდივიდებს ზრდის ისე, რომ მათ დიდად არ იზიდავდეს ქალის ფიზიკური სილამაზე, პოეზია და ლოკალური მუსიკა. მიჩნეულია, რომ ჩვენს მუსლიმურ საზოგადოებათაგან ბევრი მეორე კატეგორიაში თავსდება. მეექვსე ფაქტორი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აცნობიერებენ და იღებენ ცოდნას მათი განჭვრეტის ობიექტების შესახებ. ისინი უფრო ადვილად აირჩევენ და შეაფასებენ განჭვრეტისთვის საგნებს, რომლებიც მათთვის ნაცნობ არეალშია.

მეშვიდე მოიცავს იმ ადამიანების მაგალითებს, რომელთა გარემოცვაშიც ჩვენი თავი მოვაქციეთ. როგორც შუამავალმა თქვა; „ადამიანი თანამოაზრის მსგავსია, ამიტომ ყურადღებით იყავით ვისთან მეგობრობთ.“<sup>10</sup> მე-

<sup>10</sup>. ციტირებული აბუ ჰურაირას მიერ და ჩანერილი ალ-თირმიზის მიერ.

ტიც, ბრძენთან მეგობრული ურთიერთობის სულიერ გავლენას შეუძლია მონაფის მსოფლმხედველობის უკიდურესად შეცვლა და მისი ისლამური მედიტირების უნარის გაზრდა. მერვე ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს განჭვრეტის სიღრმეზე, არის განჭვრეტისა და მედიტაციის საგნის ბუნება. ზოგიერთი ბუნებრივი ფენომენი მყისიერ სტიმულს აძლევს ფიქრებსა და ძლიერ გრძნობებს, საფუძველშივე არყევს ადამიანთა ფსიქოლოგიურ და სულიერ ასპექტებს, დომინირებს გულებსა და გონებებზე.

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ განსაჭვრეტი საგნების შესახებ ცოდნასა და მათ გაგებას შეუძლია ხელი შეუწყოს უფრო ღრმა განჭვრეტას, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მისი სანინაალმდეგოც ჭეშმარიტია. კერძოდ, კონკრეტულ საგანთან უკიდურესი გაშინაურება მისი განჭვრეტისთვის დაბრკოლება შეიძლება გამოდგეს. რამდენადაც უფრო დიდი იქნება ჩვენს ირგვლივ არსებულების მიმართ ჩვენი სიახლოვე, იმდენად უფრო მეტად ჩამოიფარება წინ ბუნდოვნების ფარდა ჩვენი ხედვისა და გაცნობიერებისთვის. შესაბამისად, ჩვენ მნიშვნელოვან საგანთა და მოვლენათა დაკვირვებისა და დამახსოვრებისას, წარმატებას ვერ მივალწევთ. უეჭველია, რომ ამ ფაქტორთა მნიშვნელობა დამოკიდებულია თავად განმჭვრეტთა გარემოებებზეც. შესაბამისად, თუ ადამიანები გულწრფელნი და დიდად მოტივირებულნი არიან, ისინი უეჭველად იქნებიან მიმართულნი ყველა ამ სირთულის დაძლევისკენ, იმისათვის, რომ თაყვანი სცენ ყოვლისშემძლეს და და განჭვრიტონ მისი შემოქმედება.

თავი მერვე

**ექსპერიმენტული მეცნიერება  
და რელიგია: კოსმიური კანონები**

როდესაც მავანი ჩანვდება იმ მაღალ პოზიციას, რომელსაც ისლამი ანიჭებს ღმერთის შემოქმედების განჭვრეტას, ის გააცნობიერებს მათ სავალალო მდგომარეობას, რომელთა გულები, ყურები, თვალები და გონებაც დახურულია იმისთვის, რათა განარჩიოს ღვთის ნიშნები, თუნდაც რომ ისინი გარდმოფენილი იყოს მის წინაშე, დღითა და ღამით, მთელს სამყაროში: „*და რამდენი სასწაულია ცათა და ქვეყანაზე, ისინი კი უყურადღებოდ ჩაუვლიან და მისგან პირს იბრუნებენ*“ (ყურანი-12:105). მაგრამ ამ ცოდნას არ გაჰყავს ისინი ხელოვნური გარეგანი ასპექტების მიღმა, არც მიჰყავს ისინი შემოქმედების სასწაულებიდან შემოქმედამდე. ყურანი შემდეგნაირად აღწერს მათ: „*მათ იციან მხოლოდ ცხადი ამა სოფლისა და არაფერს უწყიან საიქიოს შესახებ*“ (ყურანი-30:7).

ის, რაც ამოძრავებს მორწმუნეთა გულებს, ძირითადად არის საიდუმლოებანი, რომლებსაც ისინი შეისწავლიან ღმერთის შემოქმედების მმართველი ღვთიური კანონების შესახებ; ეს იქნება პატარა ჭიანჭველას ქიმიური „ენის“ აღმოჩენა თუ უზარმაზარი პლანეტის ორბი-

ტის დადგენა. ეს თანდაყოლილი ბუნება, რომელიც ღმერთმა ჩანერგა ყველა ადამიანის გულში, არის ალბათ მიზეზი იმისა, რომ ზოგიერთი დღევანდელი მეცნიერი მორწმუნეთა მსგავსი ენით საუბრობს. მაგალითად, სესილ ჰამანი კითხვას სვამს მოლალურის (ჩიტის სახეობა), თუ ვინ ასწავლა მას ბუდის გაკეთების ესოდენ ნატიფი ხელოვნება. განჭვრეტასა და გულდასმით დაკვირვებას შორის ურთიერთმიმართების წარმოსაჩენად, ჭიანჭველების განხილვისას, იბნ ალ-კაიმი იმონებს ერთ საინტერესო ამბავს, რომელიც გადმოცემულია ჭიანჭველების ქცევაზე დაკვირვებითა და განჭვრეტით ძლიერ გატაცებული მორწმუნის მიერ. მან ჩაატარა მეცნიერული ექსპერიმენტი, რომლითაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჭიანჭველებს აქვთ კომუნიკაციის სპეციალური ენა და ისინი აწესებენ მკაცრ სასჯელს მათთვის, ვინც არასწორ ინფორმაციას მოიტანს და ასეთი ქმედებით შეცდომაში შეიყვანს ჭიანჭველების ჯგუფს. ისეთი მეცნიერები, როგორც არიან თავად იბნ ალ-კაიმი და სხვები, არ შეჩერებულან მხოლოდ ვიზუალურად აღქმად ქმნილებებზე ფიქრით, არამედ მათ გააგრძელეს აბსტრაქტული კონცეფციების გააზრებაც, საკუთრივ კონტემპლაციის პროცესის ჩათვლით. მაგალითად, ალ-ლაზნლი ფიქრობდა უზენაესი ღმერთის სიბრძნეზე, რომელიც უკავშირდებოდა ახალშობილი ბავშვების შეზღუდულ გონებრივ უნარებს.<sup>11</sup>

---

<sup>11</sup>. 1Abu Hamid al-Ghazli, *Al-Hikmah fi Makhlukat Allah* (Beirut: Dar Ihya' al-Ulum, 1984), p. 83.

ობიექტური და რელიგიური მრწამსის განსხვავების მიუხედავად, კოსმიური კანონების ძიებას ესწრაფვიან როგორც ღრმა ფიქრს მიცემული მორწმუნეები, ისე თანამედროვე მეცნიერები. ამასთანავე, თანამედროვე ექსპერიმენტატორი მეცნიერები იკვლევენ იმ კანონებსა და პრინციპებს, რომლებითაც იმართება სამყარო, რაც ეხმარება მათ დიდი სიზუსტით იზინასწარმეტყველონ კოსმოსური მოვლენები. ამასთანავე, როდესაც მუსლიმი მკვლევარები მართლაც გულწრფელები გახდებიან თავიანთი შრომის დროს, კვლევისადმი მათი სტიმულირება და ნაღვანის შედეგი ბევრად უფრო ღრმაა შინაარსიანი იქნება, ვიდრე მათი არამუსლიმი კოლეგების. გარდა ამისა, როდესაც ისინი მატერიალურ, ბიოლოგიურ, და ფსიქოლოგიურ ფენომენებს შორის ჩახლართულ ურთიერთობებს აღმოაჩენენ და დააკვირდებიან მათში ღმერთის ნაშრომსა და მის კანონებს, მაშინ ისინი ღვთისმსახურების უმაღლეს ფორმას განახორციელებენ. მათ მიესადაგება ყურანის სიტყვები: „...*ეშინიათ ალლაჰის მის მსახურთაგან ცოდნის მქონეთ...*“ (ყურანი-35:28). თუ ასეთი მოსწავლენი გულმხურვალედ ჩააყენებენ საკუთარ კვლევას ღმერთის სამსახურში, მაშინ დაკვირვების, მედიტაციისა და განჭვრეტის ყველა მათი ძალისხმევა (განხორციელებული ლაბორატორიაში თუ საველე პირობებში) დიდად დაფასდება.

სამწუხაროდ, მუსლიმი სტუდენტები არ ჩანს, რომ აცნობიერებდნენ ამ წმინდა გზავნილს. ისინი ასევე ვერ აცნობიერებენ, რომ შეუპოვრობისა და მოთმინების გარეშე დიდ წარმატებას ვერ მიაღწევენ. თუკი მუსლიმი

მკვლევრები დაკვირვებისა და განჭვრეტის თავიანთ ამოცანას აღიქვამენ ღვთისმსახურების ფორმად, რომლითაც დაიმსახურებენ ღმერთის კმაყოფილებას, მაშინ ისინი უფრო მეტად მოტივირებული უნდა იყვნენ. თუ მორწმუნე ისეთ რამეს აღმოაჩენს ან გამოიგონებს, რომელიც კაცობრიობისთვის სასარგებლოა, ღმერთი ამას მუდმივ ქველმოქმედებად ჩაუთვლის; ასევე ამისთვის მკვლევარი ღვთიურ ჯილდოს მიიღებს, როგორც ამქვეყნად, ისე საიქიოში, ვინაიდან მისი ნაღვანის შედეგის გამოყენება კვლავაც სარგებელს მოუტანს მათ, ვინც მას გამოიყენებს. მუსლიმის მიერ განხორციელებული ნებისმიერი კვლევა ასევეა ერთგულება შუამავლის დირექტივისა: „ცოდნის ძიება ყველა მუსლიმის ვალდებულებაა.“<sup>12</sup>

პოზიტიური ურთიერთკავშირი დახვეწილ მუდმივ განჭვრეტას (როგორც თავყვანისცემის წინაასულ ფორმას) და სამეცნიერო ცოდნის პროგრესს შორის მუსლიმური სამყაროში ექსპერიმენტული მეცნიერებების პროგრესის ისტორიითაა დადასტურებული. დამატებით, ეჭვიც არ არსებობს, რომ მუსლიმ მეცნიერთა აღმოჩენებმა და გამოგონებებმა ევროპას ასწავლა სამეცნიერო მეთოდები, რომელიც თანამედროვე ცივილიზაციის საფუძველს ქმნის. მუსლიმ სამყაროში ექსპერიმენტული მეცნიერების განვითარების არაერთი მაგალითია იმ ეპოქაში, როდესაც ღმერთის შემოქმედებისა და იმ კანონების განჭვრეტამ, რომლითაც ის ამ სამყაროს მარ-

<sup>12</sup>. Quoted by Anas in al-Suyti Al-Jami, vol.2, p. 182.

თავს, შექმნა სამეცნიერო აღორძინების საფუძველი. ეს იყო მონიფული, დაბალანსებული ცივილიზაცია, რომელშიც ფიზიკური და სულიერი მხარე ჰარმონიულად და ჰომოგენურად ურთიერთქმედებდა, დაფუძნებული ადამიანის შინაგან ორმაგ ბუნებაზე, როგორც რაციონალური ცხოველისა და სულიერი არსებისა.

ისლამისგან და მისი ცივილიზაციის სულიერი ფესვებისგან გაუცხოება ყველაზე დიდი უბედურებაა, რომლის შედეგიც გახდა ფიზიკურისა და სულიერის, მეცნიერებისა და რელიგიის განცალკევება. არასოდეს არსებულა ისეთი დაბალანსებული ცივილიზაცია, როგორიც იყო ისლამის დამოძღვრით აყვავებული – მასში ადამიანის ცოდნა და რელიგია უპრეცედენტოდ ჰარმონიულად ერწყმოდნენ ერთმანეთს, ნასაზრდოებნი ერთადერთი ყოვლისშემძლე ღმერთისადმი მორჩილებით. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ კონტრასტი ერთი მხრივ, ადრეულ მუსლიმ მკვლევრების და რელიგიური მრწამსის ჯანსაღ კომბინაციას, და, მეორე მხრივ, თანამედროვე სეკულარულ სამყაროში დღეს არსებულ ვითარებასა და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების დიდ ნაწილს შორის. სამწუხაროდ, მრავალ „სეკულარიზებულ“ მუსლიმ მკვლევარს არჩეული აქვს და მიჰყვება დასავლურ მოდელს. ამასთანავე, ირონიულად ჟღერს, რომ იმ დროს, როდესაც მუსლიმები თავს არიდებენ მათი ჰუმანიტარული, სოციალური და ზოგადად სამეცნიერო დისციპლინების თამამ ინტეგრირებას ისლამის სულიერ, ეთიკურ ნორმებთან, თანამედროვე სეკულარული სამყარო იწყებს იმ სოციალური ზიანის გააზრებას, რაც მოი-

ტანა მეცნიერებას, რელიგიასა და სეკულარიზაციას შორის განხეთქილებამ.

დასავლურ მეცნიერებაში უახლესმა აღმოჩენებმა, რომლის თავდაპირველი მიზანიც იყო რელიგიის დაკნინება და მისი ჩანაცვლება, პირიქით, გამოიწვიეს ახალი სამეცნიერო რევოლუცია და ამ ადრეული პოზიციისკენ შემობრუნება. ირონიულია ის, რომ ამ პროცესს სათავეში ჩაუდგა ფიზიკა, ზუსტ მეცნიერებათა 'მეფე'. სამუხაროდ, მხოლოდ მცირე რაოდენობის მეცნიერებმა, რომლებიც ღრმად შეიჭრნენ თავიანთი სპეციალიზაციის გარეგან შრეებში, რათა მიეღწიათ მისი ბირთვისთვის, დაიწყეს ბუნების შესახებ მათი ადრეული ქედმაღლური პოზიციის გადახედვა. როცა [დასავლელ] მეცნიერთა უმრავლესობა საკუთარ თავს ათეისტს უწოდებს, ერთმა ცნობილმა მეცნიერმა ერთხელაც თქვა: „პატარა მეცნიერული მიღწევები ადამიანს ღმერთისგან აუცხოებს, მაგრამ დიდი მეცნიერება მასთან აბრუნებს.“<sup>13</sup>

შესაფერისი რეფორმის სრულად განხორციელება, რომელიც კაცობრიობას ბედნიერებას მოუტანს, შეუძლებელი იქნება, თუ სამეცნიერო პროგრესი ადამიანის მისწრაფებასა და ღვთიურ წინამძღოლობას შორის ბალანსზე არ იქნება დაფუძნებული. რეალურად, ეს არის ერთადერთი გზა, რომელსაც მეცნიერები დაუბრუნდებიან და ხელახლა აღმოაჩინენ ღმერთის ყველა ქმნილებისადმი სიყვარულს, მათდამი კეთილგანწყობასა და

<sup>13</sup>. დამონებულია ლუი პასტერისგან.

მათთან ერთიანობს. ამის თაობაზე ყურანში განცხადებულია: „და თქვენ განკარგულებაში მოგცათ ყველაფერი, რაცაა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, უეჭველად, ამაში სასწაულებია გულისხმიერ ხალხთათვის.“ (ყურანი-45:13.)

## თავი მეცხრე

### დასკვნა

მე შევეცადა განმესაზღვრა ღმერთის შემოქმედების თავაქურის, იგივე მედიაციური განჭვრეტის მნიშვნელობა, როგორც ყველა მუსლიმის რელიგიური მოვალეობისა. ასევე წარმოვაჩინე, რომ ყურანი და მუჰამად შუამავლის ჰადისები უხვადაა გაჯერებული მინერილობებით, რომლებიც მოუწოდებს მუსლიმებს რეგულარულად სცენ თავიანთი ღმერთს მის შემოქმედებაზე ფიქრით. ამ სწავლებებში ყველა სახის მეთოდია გამოყენებული, როგორცაა ამ დალოცვილ აქტოვობაში ჩართულ მორწმუნეთა შექება და ურწმუნოთა დაგმობა, რომლებიც თავიანთი შექმნადობასა და სამყაროს შექმნაზე, რომელშიც თავად ცხოვრობენ, არ ფიქრობენ. თუკი მუსლიმებს სურთ გაუდგნენ გულმხურვალე მორწმუნეთა სულიერ ბილიკს მათი ტრანსცენდენტალური მოგზაურობისას (შუჰუდ) სულიერი გასხვივოსნებისა და განჭვრეტით შემეცნებისკენ, ისინი ვერანაირ შემცვლელს ვერ გამოიძებნიან ღრმა მედიტაციურ განჭვრეტას. ამასთანავე, რამდენადაც ისინი თანდათანობით დახვეწენ თავიანთი განმჭვრეტენ შესაძლებლობებს აღქმის მარტივი უნარიდან რეალურ განმჭვრეტე შემეცნებამდე,

ისინი ამაღლდებიან დალოცვილ დონემდე, რომელზეც მათი გულები აღსავსე იქნება ყოვლისშემძლეს სიყვარულითა და მისი განდიდებით. ისინი დაინახავენ ფიზიკურად და აღიქვამენ სულიერად, რომ ყოველივე ამ სამყაროში მთლიანად ემორჩილება ღმერთს, ექვემდებარება მის ნებას, დამოკიდებულია მის წყალობასა და თანაგრძნობაზე. მუსლიმმა სწავლულებმა და ბრძენებმა დაამტკიცეს, რომ მორწმუნეები, რომლებიც ამ საფეხურს აღწევენ, ადამინთა შორის ყველაზე ბედნიერნი არიან.

ზოგადად დასავლური ფსიქოლოგია, და კერძოდ, ფსიქოთერაპია, მრავალი წლის მანძილზე სეკულარული თეორიებითა და პრაქტიკებით წარმართული, არასწორ გზას ადგას. ამ უკანასკნელთა საბოლოო დისკრედიტაციაც მოხდა, როგორც შეუსაბამოს, გამოუსადეგარის და ზოგჯერ მავნებლურისაც კი. თუმცა, თანამედროვე კოგნიტიური რევოლუციის დადგომასთან ერთად, დასავლელი ფსიქოთერაპევტები საბოლოოდ იწყებენ თავიანთ პაციენტებში ცნობიერებისა და გონების დიდი ზეგავლენის აღიარებას. ეს კი თავისთავად უბიძგებს მათ, რომ პატივი სცენ პაციენტების რელიგიურ და სულიერ მრწამსს. უსულგულო თეორიების უდაბნოში მრავალწინი ხეტიალის შემდეგ, ფსიქოთერაპია საბოლოოდ უბრუნდება კოგნიტიური მკურნალობის საღ აზრზე დამყარებულ პრაქტიკას, რომელიც ყოველთვის გამოიყენებოდა ემოციურად გაუნონასწორებლების დახმარებისთვის. ეს კოგნიტიური თერაპევტული მეთოდები ზედმინევენით სრულად არის შესწავლილი და აღწერილი ჩვენი ძველი მუსლიმი ექიმებისა და მკურნალების მიერ.

მეცნიერების შემსწავლელი მრავალი ახალგაზრდა სტუდენტი ფიქრობს, რომ მეცნიერები მკაცრად უნდა მისდევდნენ ემპირიული ინდუქციური და დედუქციური მეთოდების საფუძვრებს, როდესაც მიზნად ისახავენ ახალი ტექნოლოგიების გამოგონებას ან ახალი ფენომენის აღმოჩენას. ამასთანავე, ეს მკაფიოდ დადგენილი საფუძვრები პრობლემის განსაზღვრისთვის, ჰიპოთეზის ფორმულირებისთვის, მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავებისთვის და ჰიპოთეზის ტესტირებისთვის – რასაც ღრმად შეისწავლიან ბაკალავრი სტუდენტები – მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპებია. სინამდვილეში, სიღრმისეული ფიქრი და განჭვრეტა, რომელშიც ჩართულია ინტუიცია, ბევრად უფრო ფართოდაა გავრცელებული, ვიდრე მეცნიერებს ამის აღიარება სურთ.

როგორც მუსლიმი პროფესიონალები, ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, როდესაც ამგვარ სეკულარულ ტენდენციას მივსდევთ. მაშინაც კი, როდესაც ფსიქოლოგიური მოვლენა ან თეორია ემპირიულად არაერთგზის დამტკიცებულია, ჩვენ საკუთარ თავს უნდა შევახსენოთ, თუ ვის მიერ არის შექმნილი ეს ფსიქოლოგიური რეალობა და ეს პრინციპები უნდა დავუკავშიროთ ღვთიურ სიბრძნეს. ნებისმიერი სასწავლო თეორიისა და პრაქტიკის გაზიარებისას, იგი უნდა დავუკავშიროთ იმ პრინციპებს და გზებს, რომლებიც ღმერთმა ცოდნის მიღების მიზნით ჩვენთვის შეარჩია და მადლიერები უნდა ვიყოთ მისი. რადგან როგორც მას ყურანში აქვს განცხადებული, მისი ნების გარეშე არც ერთ ადამიანს არანაირი სახის ცოდნის მიღების შესაძლებლობა არ მიეცემა.

## ავტორი

მალექ ბადრი სუდანის აჰფადის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის დამსახურებული პროფესორია; ამჟამად კი მივლინებულია სტამბოლის ზაიმის უნივერსიტეტში (თურქეთი). ის არის მალაიზიის ისლამის საერთაშორისო უნივერსიტეტში ისლამური ზეგარდმოვლენილი ცოდნისა და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტის იბნ ხალდუნის კათედრის ხელმძღვანელი. როგორც კვალიფიციურ თერაპევტს, მას სხვადასხვა საერთაშორისო უნივერსიტეტში ეკავა პროფესორის, დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ფაკულტეტის დეკანის და ვიცე-კანცლერის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობები. 1973-1974 წლებში ის იყო იუნესკო-ს ექსპერტი ფსიქოლოგიაში ეთიოპიის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ასევე 1980-84 წლებში იყო მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში ტრადიციული სამედიცინო პრაქტიკების კომიტეტის ექსპერტი. როგორც მრავალი ნიგნისა და სტატიის ავტორს, მიღებული აქვს არაერთი ჯილდო, მათ შორის 2003 წელს აკადემიური მიღწევებისთვის მიიღო ზუბაირის პრიზი, სუდანის უმაღლესი აკადემიური ჯილდო.



## გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. ჰოლიტაოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: [universal505@ymail.com](mailto:universal505@ymail.com); [gamomcemlobauniversali@gmail.com](mailto:gamomcemlobauniversali@gmail.com)

**ინსი-ს წიგნების სერია** წარმოადგენს ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებულ კოლექციას, რომლებიც დაწერილია შემოკლებული ფორმით, რათა მკითხველმა შეძლოს ორიგინალის ძირითადი შინაარსის გაგება. აღნიშნული ფორმატი მკითხველს აძლევს შესაძლებლობას დროის მოკლე მონაკვეთში გაეცნოს დიდი პუბლიკაციების მოკლედ დაწერილ დეტალურ მიმოხილვას.

**აღამიანური რასა კრიზისშია და ძალიან ცოტა ჩვენგანე – თუკი სართლდ ვინეა – ხვდება, რა ხდება ჩვენს ცხოვრებაში და დედამინაზა.** როგორ მოხდა ეს და როგორ განდნენ ადამიანები ასე „დაშორებულნი“ ადამიანურებისგან? რატომ იზრდება ისეთი ფსიქოლოგიური ავადმყოფობების რიცხვი, როგორცაა: დეპრესია, შფოთვა, შიში და თვითმკვლელობა და რატომ არის დასავლური სემპურნალო თერაპიები უძლური? აღნიშნული მდგომარეობის ასახვალად და გამოსაკვლევად, პირველ რიგში, ჩვენს თავებში უნდა ჩავინედეთ – რათა ცხოვრებაში ჩვენი მიზანი აღმოვაჩინეთ და ეს პრინციპი დანარჩენ სემყაროშიც გავაგრძელოთ. მიუხედავად თანამედროვე დასავლური ფსიქოლოგიის მიღწევებისა და განვითარებისა, რომელიც გავრს ეხმარება, ერთ-ერთი სფერო, რომელიც, უმეტესწილად, გამთუკვლეველია, „ადამიანის სული“ დასულიერებაა, ვინაიდან გაცილებით სარწმუნოა ადამიანის გონება „მანქანად“ მივიჩნიოთ, რომელიც გარეშე სტიმულებს პასუხობს.

ადამიანის გონებისა და ადამიანის სულთან მისი ურთიერთობის შესახებ ამ შთაბეჭდვებ განხილვაში მალში ბადრი მკითხველს განჭვრების, დაკვირვებისა და მადიბაციის გზით საკუთარი თავის აღმოჩენისკენ, მიზნისა და სულიერებისკენ მიმავალი კარის გაღებისკენ მოუწოდებს – სულიერების ნამდვილი მნიშვნელობისა და გამოსდილების გაგებისკენ ისევე, როგორც საკუთარი თავის პოვნისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი ისლამში თაყვანისცემავა კონცეპტირებაში, ის საკმაოდ გამოსადეგი და სანიშნავია ნებისმიერი იმ მკითხველისთვის, რომელსაც სულიერების ცნების, როგორც თაყვანისცემის ნაწილის, ან უბრალოდ თვითგანვითარებისა და შინაგანი მკურნალობის ნაწილის, გამოკვლევა სურს.

**დოქტორი ჯერემი ჰენზელ-ბოგასი, ისლამური ცენტრის ასოცირებული მკვლევარი, კამბრიჯის უნივერსიტეტი**

მალე ბადრის წვლილი ისლამში თავაქქურის პრაქტიკის სიღრმისეულ ანალიზში ძალზე დიდია. იგი თავაქქურს განსაზღვრავს, როგორც სულიერების ამაღლების, სრულყოფილი ადამიანის ჩამოყალიბებისა და ისლამის წმინდა ხედვისკენ მიმავალ გზას. ყველაფრის მიღმა მას აქვს მუსლიმების ინსპირირების პოტენციალი, რათა ამ ქმედებით მიჰყენენ უმაღლეს მოწოდებას და იყვნენ კაცობრიობის სამსახურში.

**პროფესორი აბდურ-რასჰიდ სკინარი, კლინიკური კონსულტანტ ფსიქოლოგი**

ეს არის ნაშრომი, რომელიც ცხოვრებას ცვლის. მას შენში ზუსტად შემოაქვს ისეთი სულიერება, როგორსაც ზოგადად ფსიქოლოგია მოიაზრებს. არა მარტო თეორიული გზით, არამედ ისეთი ფორმით, როგორც უშუალოდ გულთან აწევს.

